

THE STANDARD LANGUAGE DILEMMA IN NORWAY: HISTORICAL OVERVIEW AND FUTURE OUTLOOK

სალიტერატურო ენის დილემა ნორვეგიაში: ისტორიული მიმოხილვა და სამომავლო პერსპექტივები

Giorgi Beridze

Master of Scandinavian Studies

Invited lecturer of Norwegian Language at Tbilisi State University

Ivane Javakhishvili Tbilisi State University,

1 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0179, Georgia.

+995598987551, giorgiberidze54@yahoo.com

<https://orcid.org/0000-0003-0282-5009>

Abstract. This paper explores the evolution of the Norwegian literary language, focusing on the origins, development, and coexistence of Bokmål and Nynorsk. It traces the historical trajectory of the Norwegian language from the period of Danish rule to Norway's independence, delving into the historical origins of the two standardized forms of Norwegian: Bokmål and Nynorsk. The paper further examines the various stages of their development and the language policies implemented by the Norwegian state over the past 150 years. The article also discusses the sociolinguistic factors that have shaped and continue to shape the development of the Norwegian language.

The paper aims to clarify and explain why, despite the state's active efforts, the standardized literary language remains a complex and contested issue in Norway. The state's language policies, while achieving some stabilization, have been unable to provide a definitive solution. Over the years, due to the complexities of the issue, the state has been compelled to shift its focus from ambitious, patriotic goals to a more nuanced and less interventionist approach.

Keywords: Norwegian, Language policy, Sociolinguistics, Language standardization, Scandinavian studies.

გიორგი ბერიძე

სკანდინავისტიკის მაგისტრი

ნორვეგიული ენის მოწვეული მასწავლებელი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

1 ილია ჭავჭავაძის გამზირი, თბილისი 0179, საქართველო.

+995598987551, giorgiberidze54@yahoo.com

<https://orcid.org/0000-0003-0282-5009>

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია ნორვეგიული სალიტერატურო ენის ფორმირების პროცესი, ბუქმოლისა და ნინორსქის წარმოშობა, განვითარება და თანაარსებობა. სტატიაში გაანალიზებულია ნორვეგიული ენის ისტორიული განვითარება დანიის ბატონობის პერიოდიდან დამოუკიდებლობის მოპოვებამდე.

აღწერილია ნორვეგიული ენის ორი სტანდარტული ფორმის წარმოშობის ისტორია, მათი განვითარების სხვადასხვა ეტაპები და ნორვეგიის სახელმწიფოს მიერ გატარებული ენობრივი პოლიტიკა ბოლო 150 წლის განმავლობაში. სტატიაში ასევე განხილულია სოციოლინგვისტური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენდნენ და ახდენენ ნორვეგიული ენის განვითარებაზე. სტატიის მიზანია ახსნას და თვალსაჩინო გახადოს, თუ როგორ და რატომ მოხდა, რომ მიუხედავად სახელმწიფოს აქტიური მცდელობისა სალიტერატურო ენა კვლავაც პრობლემატურ საკითხად რჩება ნორვეგიისთვის. სახელმწიფო პოლიტიკამ გარკვეული წარმატებების მიუხედავად პრობლემის მხოლოდ დასტაბილურება შეძლო. წლების განმავლობაში კი იმდენად დაზიანდა, რომ იძულებული გახდა უარი ეთქვა პატრიოტულ მიზნებსა და აქტიური ჩარევის პოლიტიკაზე.

საკვანძო სიტყვები: ნორვეგიული, ენა, ენობრივი პოლიტიკა, სოციოლინგვისტიკა, ენის სტანდარტიზაცია, სკანდინავისტიკა.

შესავალი. ნორვეგიული სალიტერატურო ენის პოლიტიკა, მის წინაშე მდგარი რთული გამოწვევებისა და მასზე განხორციელებული მრავალი სხვადასხვა პროექტის ე.წ. ენობრივი ექსპერიმენტის გამო, გამორჩეულად საინტერესო შესასწავლ საგანს წარმოადგენს. ეს საკითხი ქართულ ენაზე პრაქტიკულად არ არის გაშუქებული, ამიტომ სტატიის ძირითადი მიზანი ჩვენეული მოსაზრებების წარმოდგენასთან ერთად, პროცესის ისტორიულ ჭრილში განხილვა და არსებული მდგომარეობის ძირითადი ასპექტების გაცნობაც გახლავთ, რაც რასაკვირველია ჩვენი მოსაზრებების უფრო ნათლად და არგუმენტირებულად ჩამოყალიბებაშიც დაგვეხმარება.

მეთოდები. სტატიაში გამოყენებულია რამდენიმე კვლევითი მეთოდი. პირველ რიგში, გამოყენებულია ისტორიული მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა თვალი მივადევნოთ ნორვეგიული ენის განვითარებას დროში. რაც საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ მისი ამჟამინდელი მდგომარეობის გამომწვევი ფაქტორები და სამომავლო ევოლუციის მთავარი ტენდენციები. ამასთან, ლინგვისტური ანალიზის საშუალებით შედარებულია ბუქმოლისა და დანიურის ენობრივი თავისებურებები. სოციოლინგვისტური მეთოდების გამოყენებით შესწავლილია საზოგადოების გავლენა ენობრივ პოლიტიკაზე და ენობრივი პოლიტიკის გავლენა საზოგადოებაზე, თუ საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ / რეგიონულ ჯგუფებზე.

შედეგები და მსჯელობა. სალიტერატურო ენის შესახებ აქტიური საზოგადოებრივი მსჯელობა ნორვეგიაში დანიის (მაშასადამე დანიური სალიტერატურო ენის) ბატონობის დამთავრებიდან საკმაოდ მალე, დაახლოებით 20 წლის შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო. 1848 წელს კი გამოვიდა ივარ ოსენის პირველი ნაშრომი „Det norske Folkesprogs Grammatik“ (ნორვეგიული ხალხური ენის გრამატიკა). 1860-იანი წლებიდან კი ამ ასპარეზზე გამოჩნდა ნორვეგიელი მასწავლებელი კნუდ კნუდსენი, რომელმაც საზოგადოებას ოსენისგან რადიკალურად განსხვავებული მიდგომები შესთავაზა. კნუდსენისა და ოსენის მოსაზრებების საფუძველზე ნორვეგიული სამწერლობო ენის ორი განსხვავებული ვარიანტი ჩამოყალიბდა. მომდევნო საუკუნეებში ნორვეგიულმა სალიტერატურო ენამ და მისმა ორმა ფორმამ უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვანი გზა გაიარა. ამ ორი სალიტერატურო ენის წარმოშობის საფუძვლებს ქვემოთ განვიხილავთ.

როგორც ვიცით სალიტერატურო ენა თავდაპირველად ეფუძნება ერთ პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებულ კილოს (თოფურია, 2005). ნორვეგია ოთხი საუკუნის განმავლობაში დანიის მიერ იყო დაპყრობილი, რამაც გამოიწვია ის, რომ პოლიტიკურად დაწინაურებული კლასის ენა თითქმის მთლიანად ასიმილირდა დანიურთან. შედეგად დანიელთა ბატონობისგან განთავისუფლებულ ნორვეგიაში ეროვნული მნიშვნელობის ენობრივი დილემა წარმოიშვა. მეცხრამეტე საუკუნის ნორვეგია, ეროვნული იდენტობის ძიების პროცესში იყო. იდენტობის განსაზღვრაში კი, როგორც ცნობილია, ენის საკითხი ფუნდამენტური მნიშვნელობისაა. ახალი ნორვეგიული სალიტერატურო ენის საფუძვლად დაწინაურებული კილოს პირდაპირ აღება პრაქტიკულად დანიური სალიტერატურო ენის მიღებას ნიშნავდა, რაც ცხადია სრულიად შეუთავსებელი იყო საკუთრივ ნორვეგიული ეროვნული იდენტობის გამოკვეთის პროცესთან, რომელიც პირველ რიგში ჭარბი დანიური გავლენებისგან თავის დაღწევას ცდილობდა.

პრობლემის გადასაჭრელი გზების ძიებისას ინტელექტუალთა აზრი ორად გაიყო. ერთნი ფიქრობდნენ, რომ ახალი ნორვეგიული სალიტერატურო ენა დაწინაურებულ - აღმოსავლეთის, კერძოდ ოსლოს კილოს უნდა დაფუძნებოდა, არსებითად დანიური სალიტერატურო ენის ორთოგრაფიის წესები გამარტივებულიყო და წერილობით ენა უფრო დაახლოვებოდა ნორვეგიულ წარმოთქმას რასაც fornorskingsslinja-ს ანუ დანიური სამწერლობო ენის „განორვეგიულების ხაზს“ უწოდებდნენ. ამ ხაზის გაგრძელების შედეგად მივიღეთ თანამედროვე ბუქმოლი (წიგნის ენა).

არსებობდა მეორე ხედვაც, მეორე ხედვის მიხედვით საჭირო იყო გამოვლენილიყო დანიურისგან ყველაზე ნაკლებად შეცვლილი კილოები და მათი შეჯერების შედეგად შექმნილიყო ახალი, სრულიად ნორვეგიული სალიტერატურო ენა, ამ ხედვას målreising ანუ „ენის აღორძინების“ პოლიტიკა ეწოდა, თანამედროვე ნინორსქი (ახალი ნორვეგიული) სწორედ ამ ხაზის შემკვიდრეა.

სალიტერატურო ენის ამ ორ ფორმას (ნინორსქესა და ბუქმოლს) თანაცხოვრების 150 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვთ, თუმცა პრობლემა დღემდე არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი. 150 წლის განმავლობაში სახელმწიფომ არაერთი განსხვავებული და საინტერესო პოლიტიკა მოსინჯა, იყო სხვადასხვა ხასიათის ხისტი თუ შედარებით რბილი მიდგომები და პროექტები, თუმცა საკითხი დღემდე ღიად რჩება.

ქვემოთ შევეცდებით საკითხი შედარებით ვრცლად განვიხილოთ ისტორიულ ჭრილში, გავაანალიზოთ ბოლო წლებში შექმნილი მდგომარეობა და გამოვკვეთოთ ტენდენციები, რომელთა საფუძველზეც გარკვეული დასკვნების გამოტანას შევეცდებით.

ისტორიული წინაპირობები

ძველსკანდინავიური ენა ორ ძირითად დიალექტად იყოფოდა, დასავლეთ ძველსკანდინავიურ დიალექტებს მიაკუთვნებენ: **ნორვეგიულს**, **ისლანდიურსა** და **ფარერულს**.

აღმოსავლეთ ძველსკანდინავიური დიალექტებს: **შვედურსა** და **დანიურს**. (Torp, Vikor, 1993). მათ ცხადია კარგად შეედლოთ ერთმანეთთან კომუნიკაცია, თუმცა უკვე ძველსკანდინავიურის დონეზე იყო შედარებით მნიშვნელოვანი განსხვავებები, რომელთა საფუძველზეც მათი კლასიფიკაცია ორ სხვადასხვა ქვეჯგუფად მოხდა. ამრიგად ძველსკანდინავიურის დონეზე შვედური და დანიური უფრო ახლოს არიან ერთმანეთთან ვიდრე ნორვეგიული.

მეთოთხმეტე საუკუნეში შავი ჭირის ეპიდემიის მიმართ ნორვეგია განსაკუთრებით მოწყვლადი აღმოჩნდა, რამაც ნორვეგიის სახელმწიფოს საგრძნობლად დაასუსტა, შედეგად ის დანიელთა სრული ბატონობის ქვეშ მოექცა. ენობრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სასულიერო კლასს, რომელიც შავი ჭირის

ეპიდემიას თითქმის მთლიანად ემსხვერპლა (მათ უფრო ხშირად უწევდათ ეპიდემიასთან კონტაქტი, რადგან ვალდებულნი იყვნენ ყველა გარდაცვლილისთვის წესის აგების რიტუალი ჩაეტარებინათ). ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ 1370-იანი წლებიდან უკვე აშკარად თავს იჩენს ცვლილებები სამწერლობო ენაში, რომელიც მხოლოდ სამეტყველო ენასთან დაახლოებით შეიძლება აიხსნას (Torp, Vikor, 1993)

1400-იანი წლების დასაწყისიდან კიდევ უფრო იზრდება ნორვეგიული სამეტყველო ენის გავლენა სამწერლობოზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამდროინდელი წერილობითი მასალის რაოდენობა საკმაოდ შემცირებულია. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ამ პერიოდის ტექსტები შემდგომში რეფორმაციის დროს განადგურდა, თუმცა სავარაუდოდ აქ გარეგან ზეწოლაზე მეტად შიდა ფაქტორმა ითამაშა გადამწყვეტი როლი. კერძოდ, წერა-კითხვის მცოდნე მოსახლეობის მკვეთრმა შემცირებამ შავი ჭირის ეპიდემიის გამო. ამ პერიოდიდან ძირითადად შემორჩენილია იურიდიული დოკუმენტები, იმდროინდელი კანონები შვედური და დანიური კანონების ანალოგიით იქმნებოდა, რაც გარდა შინაარსისა განაპირობებდა ენობრივ ანალოგიებსაც. ასევე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ცნობილი შვედი რელიგიური მოღვაწის, წმინდა ბირგიტას მიერ დაარსებულ ბირგიტიანელთა ორდენსაც, რომელიც იმ დროს ძალიან გავლენიან ორდენს წარმოადგენდა და თავის რელიგიურ თუ პროპაგანდისტულ ტექსტებს მთელს კათოლიკურ სამყაროში ავრცელებდნენ, ნორვეგიაში ეს ტექსტები ცხადია შვედურ ენაზე ვრცელდებოდა. (Bagge, Mykland 1987)

ნორვეგია 1380 წლიდან დანიის დაქვემდებარებაში იყო, თუმცა მისი ეკლესია რომს ემორჩილებოდა, ამიტომ მეთხუთმეტე საუკუნეში შვედური ენობრივი გავლენები უფრო სჭარბობდა დანიურს. 1536 წლიდან იზრდება დანიური ენის წნეხი, რადგან დანიის სამეფოში კათოლიკური ეკლესია ლუთერანულით ჩანაცვლდა, რითაც გაუქმდა რომის ეკლესიის უფლებები და საეკლესიო ძალაუფლებამაც დანიის ხელში გადავიდა. თუ აქამდე ნორვეგიაში განათლებული კლასი კვლავ მშობლიურ დიალექტზე წერდა, ამ პერიოდიდან ეს თანდათან იკრძალება. დანიური ბიბლიის ახალი გამოცემის ტექსტი უნივერსალურად ყველასთვის სავალდებულო გახდა. თუმცა ამ დროისთვის ჯერჯერობით მაინც არ არსებობს ბოლომდე ჩამოყალიბებული დანიური ენის ნორმები, ამიტომ სხვა წერილობითი ტექსტებს დანიელებიც და ნორვეგიელებიც თავიანთ დიალექტზე წერენ. (Bagge, Mykland 1987)

მეთვრამეტე საუკუნიდან დანიის სამეფო აქტიურად იწყებს ზრუნვას სტანდარტიზებული დანიურის შესაქმნელად, რომელსაც უნივერსალურად ასწავლიან ყველა სკოლაში. ამ პერიოდიდან ნორვეგიის დაწინაურებული, მმართველი კლასი იწყებს როგორც სამწერლობო ასევე სალაპარაკო ენის ცვლილებასაც და ცდილობს ის სტანდარტიზებულ დანიურს დაუახლოვოს. მკვლევრები ამ მოვლენას თანამედროვე ბუქმოლის პირველ ჩანასახად მიიჩნევენ (Torp, Vikor, 1993). აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ თავად დანიური წარმოთქმა ორთოეპიული თვალსაზრისით უკვე იმ დროს მნიშვნელოვნად იყო დაშორებული წერილობითს. დანიური წარმოთქმით სიტყვათა დაბოლოებები და უმახვილო მარცვლები ხშირად იყლაპება, რის გამოც დანიური წარმოთქმა შვედურ და ნორვეგიულ წარმოთქმასთან შედარებით სკანდინავიაში ყველაზე რთულად გასაგებად მიიჩნევა. (Språkrodet, 2022). ნორვეგიელი მმართველი კლასი მაქსიმალურად ცდილობდა სტანდარტიზებული დანიური გამოყენებინა, თუმცა მათი წარმოთქმა გაცილებით ახლოს იყო წერილობით ფორმასთან ვიდრე დანიური, შესაბამისად ნორვეგიის მმართველი კლასის მეტყველება, როგორც წერილობით ფორმასთან უფრო ახლოს მყოფი, საგრძნობლად განსხვავდებოდა დანიელთა მეტყველებიდან. სწორედ ამას ეხმიანებოდა იმდროინდელ სკანდინავიაში მოარული ფრაზა „den beste dansk tales i Christiania“ – „საუკეთესო დანიურს ქრისტიანიაში ლაპარაკობენ“ (Guttu, 2019).

დანიურის გავლენას ვერც საზოგადოების დაბალი ფენები გადაურჩნენ, მათზე წნები განსაკუთრებით გაიზარდა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როცა რელიგია კიდევ უფრო ღრმად შეიჭრა სოციალურ სივრცეში. 1736 წლიდან ყველასთვის სავალდებულო გახდა კონფირმაციის გამოცდის ჩაბარება. გამოცდა ძალიან მკაცრი იყო და დანიურენოვანი კატეხიზმოს დაზეპირებას გულისხმობდა, კონფირმაციის გარეშე ადამიანს არ ეძლეოდა ზრდასრული ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესი უფლებები, მათ შორის სრულფასოვანი მუშაობის უფლება და დაქორწინების უფლებაც კი. გამოცდის ჩაბარება განსაკუთრებით უჭირდათ დანიურისგან ბევრად დაშორებულ დიალექტებზე მოლაპარაკე ახალგაზრდებს, მათ ზეპირად უნდა ჩაებარებინათ ტექსტები რომელთა მნიშვნელობა კარგად არც ესმოდათ, რადგან მათთვის მშობლიური დიალექტისგან მკვეთრად განსხვავდებოდა. კონფირმაციის გამოცდებში რამდენჯერმე ჩაჭრის გამო მრავალი ნორვეგიელი ახალგაზრდა იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო, როგორც წესი ამერიკაში, რადგან გამოცდის გარეშე სახელმწიფო მათ ზრდასრულ ადამიანებად არ აღიარებდა და თავიანთ სამშობლოში ოფიციალურად მუშაობისა და დაოჯახების უფლებას არ აძლევდა. (Skirbekk, 2014).

1814 წელს ნორვეგია დანიის ბატონობისგან გათავისუფლდა, მაგრამ მალევე შვედეთის შემადგენლობაში შევიდა. ამ დროისთვის პირველი უნივერსიტეტი სულ 3 წლის გახსნილი იყო, რაც ნიშნავდა იმას, რომ იმდროინდელი განათლებული კლასის აბსოლუტურ უმრავლესობას განათლება დანიაში ჰქონდა მიღებული. ამიტომაც ამ პერიოდის ინტელექტუალურ წრეებში სალიტერატურო ენის შეცვლის საკითხი არ იდგა, საზოგადოების დაბალი ფენებისგან განსხვავებით დანიურთან ასიმილირებული ნორვეგიული მათთვის უკვე მშობლიური ენა იყო, რომელზეც ბავშვობიდანვე აღზარდეს მშობლებმა. შესაბამისად ამ თაობის ნორვეგიელი ინტელექტუალების მთავარი ენობრივი საზრუნავი შვედური ენის გავლენებისგან თავის დაცვა იყო.

შვედეთმა დაიპყრო ნორვეგია, თუმცა შეუნარჩუნა მისცა მას თვითმმართველობის მაღალი ხარისხი, შეუნარჩუნა 1814 წელს დაარსებული პარლამენტიც. 1830-იანი წლებიდან პარლამენტში გლეხთა კლასის წარმომადგენლობა იზრდება, 1833 წელს გლეხები უმრავლესობასაც კი წარმოადგენდნენ. ეს ენობრივად მნიშვნელოვანი მოვლენა გამოდგა, რადგან, როგორც ზემოთ ვთქვით, გლეხთა ენა, განსხვავდებოდა განათლებული კლასის ენისგან, შესაბამისად ისინი დამკვიდრებულ მაღალი კლასისთვის შესაბამის ენობრივ სტანდარტებში თავს სულაც არ გრძნობდნენ კომფორტულად. მეორე მხრივ წამოიზარდა ინტელექტუალთა ახალი თაობაც, რომელსაც განათლება ნორვეგიაში ჰქონდა მიღებული, იდეურ საზრდოს კი არა დანიიდან ან შვედეთიდან არამედ პირდაპირ ევროპიდან, განსაკუთრებით კი საფრანგეთის რევოლუციური სულიდან იღებდნენ, რამაც ეროვნული რომანტიზმის (nasjonalromantikken) მოძრაობის წამოწყებას შეუწყო ხელი. (Jahr 1989)

ეროვნული რომანტიზმის იდეებით აღფრთოვანებულ ახალგაზრდებში როგორც შესავალშიც ვთქვით, ორი აზრი გაჩნდა. არსებული განათლებული კლასის ენის „განორვეგიულების“ იდეას მხარს უჭერდა ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, „ნორვეგიის მამად“ წოდებული ჰენრიკ ვეგელანდიც, იგი ზოგადად ყველაფერში ჩვეულებრივი ხალხის ქომაგი იყო და ამ შემთხვევაშიც მათ მხარეს იჭერდა, მიუხედავად იმისა, რომ თავად განათლებული კლასიდან იყო გამოსული. მისი აზრით არარეალისტური იყო დიალექტების შეჯერებით ახალი სალიტერატურო ენის შექმნა და გავრცელება, ამიტომ არსებული განათლებული კლასის ენაში უნდა მომხდარიყო დიალექტებში შემონახული საკუთრივ ნორვეგიული ერთეულების შემოტანა და ამ გზით მისი „განორვეგიულება“ ისე, რომ საბოლოო პროდუქტი გლეხებისთვისაც საგრძნობლად უფრო ადვილი შესასწავლი ყოფილიყო.

ეროვნული რომანტიზმის მოძრაობამ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა იქამდე მეორეხარისხოვნად მიჩნეულ ფოლკლორულ ტექსტებსა და მელოდიებს. ჩაითვალა, რომ სწორედ იქ იყო შემორჩენილი ნამდვილი ნორვეგიული სული და მენტალობა. შესაბამისად მოეწყო არაერთი ექსპედიცია ფოლკლორული ნიმუშების შესაგროვებლად, მათ შორის ყველაზე ცნობილია ასბიორნსენისა და მუს მიერ 1841-1844 წლებში ხალხური ზღაპრები. ეს საკითხი ჩვენთვის საინტერესოა იმის გამო, რომ ენის „განორვეგიულება“ პირველად სწორედ აქ იქნა პრაქტიკაში განხორციელებული. ტექსტები თავდაპირველად ცხადია დიალექტებზე იქნა ჩაწერილი, მაგრამ მათი ამ ფორმით გამოცემა განათლებულ მკითხველთა საზოგადოებას ვერ დააინტერესებდა, მეორე მხრივ თუ ყველაფერს მთლიანად სალიტერატურო ენის შესაბამისად გადააკეთებდნენ დაიკარგებოდა ენობრივი კოლორიტი, ამიტომაც გადაწყდა „განორვეგიულების“ იდეით ესარგებლათ. ზღაპრები ძირითადად სამწერლობო ენის ნორმების შესაბამისადაა დაბეჭდილი, თუმცა დატოვებულია არაერთი საკუთრივ ნორვეგიული სიტყვა, რომელიც ნორმათა თანახმად წესით დანიური ეკვივალენტით უნდა ჩანაცვლებულიყო, ასევე უცვლელადაა დატოვებული ორი გრამატიკული თვისება, რომელიც ახასიათებს მხოლოდ ნორვეგიულს და განსხვავდება დანიურისგან - ა) ორმაგი განსაზღვრულობა (dobbeltbestemthet) და ბ) პოსტპოზიციური კუთვნილებითი ნაცვალსახელი. საბოლოო ჯამში ზღაპრებს დიდი მოწონება და პოპულარობა ხვდა წილად, რაც პირველ წარმატებულ ნაბიჯად მიიჩნევა ენის „განორვეგიულების“ მიმართულებით. (Vikør & Egebakken, 2010)

ლანდსმოლი და ივარ ოსენი

განორვეგიულების ხაზის მხარდამჭერებს საკმაოდ იოლად შეეძლოთ მეტნაკლები წვლილის შეეტანათ დანიური ერთეულების განდევნასა და ნორვეგიულის დამკვიდრებაში, როგორც ვნახეთ ეს ფოლკლორისტებმა ასბიორნსენმა და მუმაც შესანიშნავად მოახერხეს. ენის აღორძინების ხაზის მომხრეებს გაცილებით რთულად ჰქონდათ საქმე, მათი კონცეფციის განხორციელების მცდელობასაც კი (და ეს კონცეფციაც საკმაოდ ბუნდოვანი იყო), უმაღლესი დონის ლინგვისტური ცოდნა, ანალიზის უნარი და არაადამიანური შრომა სჭირდებოდა. სულ რაღაც 20 წლის წინ გახსნილ უნივერსიტეტში ასეთი მომზადებული კადრები არ იყვნენ. იდეა სავარაუდოდ მალევე დაასრულებდა არსებობას რომ არა ერთი თვითნასწავლი მეცნიერი, მოყვარული ბოტანიკოსი და პოეტი - ივარ ოსენი.

ოსენს ფორმალური უმაღლესი განათლება არ ჰქონდა მიღებული. იგი ნორვეგიის ერთ პატარა, იზოლირებულ დაბაში დაიბადა და მოკლებული იყო თანატოლებთან ურთიერთობის სიამოვნებას, სამაგიეროდ საკმაოდ ახლოს ჰქონდა ბიბლიოთეკა, რომლითაც ხშირად სარგებლობდა. 1836 წელს 22 წლის ყმაწვილმა, რომელიც ნორვეგიის ერთ პროვინციულ ქალაქში რეპეტიტორად მუშაობდა და სავარაუდოდ კარგად არც იცნობდა დედაქალაქელთა ელიტაში მიმდინარე პოლემიკას, დაწერა წერილი „Om vort skriftsprog“ (ჩვენი სამწერლობო ენა), რომელშიც ყველა მისი სამომავლო პრინციპია ჩამოყალიბებული, წერილი დიდი ხნის განმავლობაში არ გამოქვეყნებულა, ამდენად მას არ იცნობდა საზოგადოება, თუმცა ამ წერილიდან ვიგებთ ოსენის ჩანაფიქრს. როგორც წერილიდან ჩანს ოსენი თვლიდა, რომ ნორვეგიული დიალექტები მთლიანობაში შეადგენდა ერთ ენას, რომელიც არ იყო დანიურზე დამოკიდებული და რომელიც აგრძელებდა ძველნორვეგიული ენის ხაზს. ოსენს მიაჩნდა, რომ ეროვნული თანხმობის შემთხვევაში, დიალექტების ანალიზითა და ძველნორვეგიულთან შედარების გზით შესაძლებელი იყო შემუშავებულიყო ნორმები, რომლებიც ერთიან სალიტერატურო ენას დაედებოდა საფუძვლად. (Aasen, 1909) .

ივარ ოსენმა შეისწავლა რასმუს რასკის გამოკვლევები ისლანდიურის შესახებ, ასევე იმ დროისთვის მისთვის ხელმისაწვდომი სხვა ლინგვისტური შრომები. შემდგომ კი დაიწყო სოფლებში მოგზაურობა, რათა შეესწავლა დიალექტები, მიეგნო მათ შორის რაიმე საერთო კანონზომიერებებს, რომელიც ახალ სალიტერატურო ენას დაუდებდა საფუძველს. უპირველეს ამოცანად ოსენმა მიიჩნია გამოველინა დიალექტებს შორის უმველესნი, რომელნიც ყველაზე ახლოს იდგნენ ძველნორვეგიულ ენასთან და ნაკლებად იყვნენ შემღვრეულნი უცხოენოვანი კონტაქტების შედეგად. ხანგრძლივი შრომისა და სოფელ-სოფელ ხეტიალის შემდეგ მან გამოავლინა ასეთი დიალექტები, ძირითადად დასავლეთ ნორვეგიაში, ჩრდილონორვეგიული დიალექტები კი ყველაზე ნაკლებად გამოსადეგად მიიჩნია. (Brunstad, 1995)

1848 წელს ოსენი აქვეყნებს წიგნს „Det norske Folkesprogs Grammatik“ (ნორვეგიული ხალხური ენის გრამატიკა). ამას 2 წლის შემდეგ მოჰყვა ნორვეგიული ხალხური ენის ლექსიკონი. ეს ორი წიგნი ნორვეგიული ენის დიალექტების საერთო გრამატიკული და ლექსიკური სახის შექმნას ემსახურებოდა. წიგნებს საკმაოდ კარგი გამოხმაურება ჰქონდათ, განსაკუთრებით პეტერ ანდრეას მუნკისგან, რომელიც იმ დროისთვის ძალიან ავტორიტეტული ინტელექტუალი და ენის აღორძინების ხაზის მხარდამჭერი იყო.

პირველი ორი წიგნი წინაპირობას ქმნიდა საერთო ნორვეგიული ენობრივი ნორმების შემუშავებისთვის. უკვე 1853 წელს გამოვიდა „Prøver af Landsmaalet i Norge“ (ლანდსმოლის ცდები ნორვეგიაში), რომელშიც შედიოდა პირველი სამაგალითო ნიმუშები იმისა, თუ როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო აღორძინებული ნორვეგიული ენა. ამ წიგნში წარმოდგენილი პრაქტიკული მაგალითების ნახვისას პეტერ ანდრეას მუნკს იმედები გაუცრუვდა, მუნკმა ჩათვალა, რომ ამ ენაზე სერიოზული ლიტერატურა ვერ დაიწერებოდა და ის მხოლოდ ფოლკლორული ნიმუშების ჩასაწერად შეიძლებოდა გამომდგარიყო (Knudsen, 1923). ოსენი კვლავაც აგრძელებდა თავისი იდეის განხორციელებას. 1864 წელს გამოსცა „ნორვეგიულის გრამატიკა“, რომელიც დასრულებულ სახეს აძლევდა ოსენის შრომას და ენობრივი ნორმების საბოლოო ვერსიებს მოიცავდა. ამის შემდეგ ივარ ოსენმა გადაწყვიტა აღორძინებული ენის პოპულარიზაციით დაკავებულიყო და ძირითადად მხატვრულ ლიტერატურაში გადაინაცვლა. თავის მიერ აღორძინებულ ენაზე დაიწყო ლექსების წერა, რომელიც პოპულარული გახდა იმდროინდელ ნორვეგიაში და დღეს ლიტერატურულ კლასიკად არის მიჩნეული.

ამრიგად ენის აღორძინების ხაზს უკვე მყარი ლინგვისტური საფუძველი ჩაყრილი ჰქონდა და ახლა სხვა მწერლებსაც შეეძლოთ საქმეში თავიანთი წვლილის შეტანა. 1860-იან წლებში, ჯერ კიდევ „ნორვეგიული გრამატიკის“ გამოცემამდე ოსმუნდ ოლავსონ ვინიემ დააარსა გაზეთი „დოლენი“ - პირველი გაზეთი რომლის საერდაქციო პოლიტიკაც ლანდსმოლის ნორმების შეესაბამებოდა. დოლენი 1870 წელს, ვინიეს გარდაცვალებასთან ერთად დაიხურა, თუმცა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნორვეგიული ენისა და ჟურნალისტიკის განვითარების საქმეში. გაზეთი იმდენად მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი აღმოჩნდა, რომ 100 წლის შემდეგ მთლიანად ხელახლა გამოიცა.

1885 წელს ნორვეგიის პარლამენტში უმრავლესობის გადაწყვეტილებით მიიღეს კანონი, რომელიც ლანდსმოლს იმავე სტატუსს ანიჭებდა, რაც დანიურ სამწერლობო ენას ჰქონდა. სტატუსს. ამან მთელი რიგი ცვლილებები გამოიწვია საგანმანათლებლო სისტემაში. სანამ ბავშვებს შეასწავლიდნენ მასწავლებლებს ჯერ თავად უნდა სცოდნოდათ ახალი ნორმები. ამიტომ 1902 წლიდან მასწავლებელთა სკოლაში სავალდებულოდ ისწავლებოდა დანიურიც და ლანდსმოლიც. ლანდსმოლის პოპულარობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, განსაკუთრებით პროვინციებში, თუმცა იმხანად მოსახლეობის უმეტესობა სწორედ პროვინციებში ცხოვრობდა. იქმნებოდა განცდა, რომ ლანდსმოლი შეძლებდა საყოველთაო პოპულარობის მოპოვებას,

თუმცა პარალელურად რიქსმოლიც იკრებდა ძალებს, რამაც შემდეგში ძალიან გაართულა მდგომარეობა. ლანდსმოლი და რიქსმოლი თანამედროვე ნორსქისა და ბუქმოლის წინაპარ ტერმინებათ ან მათ კონსერვატიულ ფორმებათ შეიძლება ჩავთვალოთ. ლანდსმოლ ნიშნავს ქვეყნის ან მეორე გაგებით სოფლის ენას (land- ქვეყანა, სოფელი). რიქსმოლ კი სახელმწიფოს ენას (rik-სახელმწიფო).

ენის განორვეგიულების პოლიტიკა - რიქსმოლი

როგორც ზემოთ ვახსენეთ დანიური სამწერლობო ენა შეუთავსებელი იყო ეროვნული რომანტიზმის იდეებთან, ყოფით დონეზე კი ის განსაკუთრებულ პრობლემებს უქმნიდა მასწავლებლებს. ენის განორვეგიულების ხაზის მიხედვით გარკვეული მცდელობები არაერთ ადამიანს ჰქონია, თუმცა მათ შორის ყველაზე გამორჩეული ერთი სკოლის მასწავლებელი კნუდ კნუდსენი იყო. იგი ქრისტიანიის (დღევანდელი ოსლო) ერთ-ერთ სკოლაში ასწავლიდა და ძირითადად ქალაქში მცხოვრებ ბავშვებთან ჰქონდა შეხება. კნუდსენის მიზნები არ ყოფილა მკვეთრად პატრიოტული, მის მთავარ ამოცანას თავისი მოსწავლეებისთვის ენის სწავლების გამარტივება იყო. ამისთვის მან თავდაპირველად საკმაოდ მოკრძალებული ცვლელბები შეიმუშავა, მაგალითად e ასოს ამოღება იმ შემთხვევებში როცა ის არ იკითხებოდა (faae-faa), გრძელი ხმოვნების ორის ნაცვლად ერთი ხმოვნით დაწერა (huus-hus) და უცხო სიტყვების მართლწერის შეცვლა (Filosof-Philosoph). ეს ცვლილებები მიღებულ იქნა 1862 წელს, 27 წლის შემდეგ იგივე ცვლილებები მიიღეს დანიელებმაც საკუთრივ დანიურ ენაში, ასე რომ ჯერჯერობით კნუდსენის მცდელობები მხოლოდ სამწერლობო ენის გამარტივება იყო და არა განორვეგიულება. მალევე კნუდსენი უფრო შორს წავიდა, ის ხედავდა რომ განათლებული კლასის მეტყველებაში შემორჩენილი იყო ნორვეგიული დალექტებისთვის დამახასიათებელი ნიშნები, რომელსაც არ ასახავდა სამწერლობო ენა. პირველ რიგში ეს ეხებოდა გრძელი ხმოვნის შემდეგ მდგომ თანხმოვნებს p,t,k-ს, დანიურში ისინი მჟღერი თანხმოვნების b,d,g - საშუალებით იწერებოდა. b,d,g -ს განათლებული კლასი მხოლოდ ფორმალურ სიტუაციებში იყენებდა, არაფორმალური საუბრებისას კი არავინ იცავდა ამ წესს. კნუდსენი მივიდა დასკვნამდე, რომ ახალი ნორმების საფუძველი უნდა გამხდარიყო განათლებული კლასის ყოველდღიური სამეტყველო ენა და არა ოფიციალური მაღალი სტილი, თუმცა მისი რედაქციები მხოლოდ დედაქალაქელ ბავშვებს უმარტივებდა სწავლას, და საერთოდ არ ითვალისწინებდა სოფლად მცხოვრებ ბავშვებს. ამ საკითხის გადასაჭრელად ის ფიქრობდა, რომ დამატებითი მუშაობა არ იყო საჭირო და დროთა განმავლობაში ოსენის ლანდსმოლი და მისი რიქსმოლი თავისთავად შეჯერდებოდა. ეს შეგვიძლია მომავალი ენობრივი პროექტის - „საერთო ნორვეგიულის“ – samnorsk-ის იდეის ჩანასახად მივიჩნიოთ. (papazian 2012)

გამოხმაურება როგორც ოსენის ასევე კნუდსენის შემთხვევაშიც დადებითი იყო, განსაკუთრებით მასწავლებლების მხრიდან, რომელთაც ახალი რეფორმები მრავალ პრობლემას აცილებდა თავიდან. დანიურ ოფიციალურ ენასთან სხვაობები იმდენად შემაწუხებელი იყო, რომ ზოგადად ძალიან კონსერვატიული ეკლესიაც კი იზიარებდა კნუდსენის რეფორმებს (მაგრამ არა ოსენისას). 1887 წელს გამოცხადდა, რომ მოსწავლეებს შეეძლოთ ტექსტები განათლებული კლასის ყოველდღიური გამოთქმის შესაბამისად წაეკითხათ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კვლავ b,d,g თანხმოვნებით იბეჭდებოდა. კნუდსენის რეფორმა უფრო მისაღები აღმოჩნდა იმ დროს უკვე შემდგარი მსოფლიო მნიშვნელობის მწერლებისთვისაც, როგორებიც იყვნენ მაგალითად იბსენი და ბიორნსონი. განსაკუთრებით ბიორნსონი იყო რიქსმოლის აქტიური მხარდამჭერი. ამ მხარდამჭერას ეკონომიკური მიზნებიც ჰქონდა, იმდროინდელი ნორვეგიელი მწერლებისთვის წიგნის გასაყიდად ნორვეგია მწირი გასაღების ბაზარი იყო, ამიტომ

ყოველნაირად ცდილობდნენ დანიურ და შვედურ წიგნის ბაზარზე შეედწიათ. ამიტომ ისეთი ენა სჭირდებოდათ, რომელიც ყველა სკანდინავიელისთვის იოლი გასაგები იქნებოდა, ასეთი ცხადია ნაკლებად იყო დიალექტებისკენ მიმხრობილი ლანდსმოლი. დიდი და ცნობილი მწერლების მხარდაჭერა რიქსმოლს მნიშვნელოვან ძალას მატებდა.

ენობრივი პოლიტიკა 1907 წლის შემდეგ

1905 წელს ნორვეგია შეედეთსაც გამოეყო და დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა. დამოუკიდებლობა ნიშნავდა, რომ მას ახლა არათუ შეეძლო, არამედ ვალდებულებაც იყო ენობრივი პოლიტიკა ჰქონოდა. მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებები 1907 წელს იქნა მიღებული, რომელიც წყალგამყოფ მომენტად მიიჩნევა. ამ დროიდან მოყოლებული ნორვეგიაში ბრძოლა არა ნორვეგიულსა და დანიურს, არამედ ნორვეგიული ენის სამწერლობო სტანდარტიზების ორ ვარიანტს შორის მიმდინარეობს. 1906 წელს იქმნება ლანდსმოლის დაცვისა და განვითარების ორგანიზაცია Noregs Mållag, 1907 წელს კი რიქსმოლის მხარდამჭერები ერთიანდებიან Riksmålsforbundet-ში. 1907 წელს მიღებული კანონის თანახმად უმაღლესი განათლების მისაღებად ყველა აბიტურიენტს უნდა ჩაებარებინა sidemål eksamen - გამოცდა მეორე ენაში, მაშასადამე თუ სკოლაში მას არჩეული ჰქონდა ლანდსმოლი როგორც hovedmål - მთავარი ენა მაშინ რიქსმოლის გამოცდის ჩაბარების გარეშე უმაღლეს სასწავლებელში ვერ მოხვდებოდა და პირიქით. ეს კანონი დღემდე მოქმედებს და ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავს, თუმცა ჯერჯერობით კვლავ აგრძელებს ფუნქციონირებას.

მომდევნო მნიშვნელოვანი რეფორმა 10 წლის შემდეგ 1917 წელს განხორციელდა. რეფორმა პირველი რეალური ნაბიჯი იყო საერთო ნორვეგიულისკენ, გარდა ამისა მიზნად ისახავდა ორთოგრაფიის უფრო მეტ დაახლოებას ფონეტიკურ სურათთან. ცვლილებებს დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა, პარლამენტში საკითხი ჩასავარდნად იყო განწირული, თუმცა მთავრობა გადადგომით დაიმუქრა და საბოლოოდ ანდერს ბუენის ორმაგი ხმის უფლების წყალობით პარლამენტში უმრავლესობის მოპოვება მოხერხდა. ამ რეფორმას მოჰყვა კნუტ ჰამსუნის ცნობილი წერილი „Sproget i Fare“ (ენა საფრთხეშია!). მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ რეფორმა არ იყო წარმატებული, ახალი რეგულაციების უმეტესობა მხოლოდ ქალაქებში მუშაობდა, რეალურად კი არავინ იცავდა. ეს რეფორმა გამორჩეული იყო ლიბერალურ ფორმათა თავისუფლებით, ამდენი ნებაყოფლობითი ფორმა სხვა არცერთ რედაქციას არ დაუშვია, თუმცა ხალხი ისევ ძველი რიქსმოლის ნორმებს მიყვებოდა და ახალ დამუშავებულ ფორმებს ფაქტობრივად არ ხმარობდნენ. (Vikor & Egebakken, 2010)

1929 წელს პარლამენტის გადაწყვეტილებით შეიცვალა სახელები, ლანდსმოლს ეწოდა ნინორსკი (ახალნორვეგიული), როგორც gammelnorsk (ძველნორვეგიულის) გამგრძელებელს, ხოლო რიქსმოლს ეწოდა ბუქმოლი (წიგნის ენა), მაშასადამე ენა რომელიც წიგნებში გამოიყენება. ირონიულია, რომ სწორედ ამ წელს გამოქვეყნდა ნინორსკზე დაწერილი ულავ დუნის რომანი Medmenneske, რომელიც ნორვეგიული ენაზე დაწერილ ერთ-ერთ საუკეთესო წიგნად მიიჩნევა.

30-იანი წლებისთვის მოსწავლეთა დაახლოებით 80 პროცენტი სკოლაში ბუქმოლს ირჩევდა მთავარ ენად (hovedmål), თუმცა ნინორსკი ძლიერდებოდა. დიდი წარმატება ჰქონდა გარბორგის დაარსებულ თეატრს, ნინორსკზე გამოდიოდა არაერთი ადგილობრივი მნიშვნელობის გაზეთი, მნიშვნელოვნად იყო გაძლიერებული ნინორსკის პოზიციები ეკლესიაში, განსაკუთრებით საეკლესიო საგალობლებში. 1930 წელს ნინორსკის პოზიციები კიდევ უფრო გამყარდა მიიღეს რა გადაწყვეტილება რომ ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში ადამიანს ნინორსკზეც ისევე უნდა შესძლებოდა ინფორმაციის მიღება როგორც ბუქმოლზე, ამიტომაც ყველა მოხელე ვალდებული და იძულებული იყო ნინორსკზე წერა ესწავლა.

1933 წელს ნორვეგიაში პირველად გამოჩნდა რადიო, რომელსაც ცხადია მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ენაზე. რადიოს მეშვეობით ხალხს შეეძლო ყოველდღიურად მოესმინა ნინორსკი ახლა უკვე როგორც სტანდარტიზებული სამეტყველო ენა.

1935 წელს ხელისფულებაში მუშათა პარტია მოვიდა. ენობრივი პოლიტიკის საკითხები მათ საარჩევნო პროგრამაშიც კი ჰქონდათ შეტანილი. პარტიის მიზანი ნინორსკისა და ბუქმოლის მაქსიმალური დაახლოება იყო. მათ განიზრახული ჰქონდათ 1917 წლის რედაქციიდან ამოღოთ ჭარბი არჩევითი ფორმები, რომლებმაც არ იმუშავა და დარჩენილ ალტერნატიულ ფორმებს შორის მაქსიმალურად წინ წამოეწიათ ის ფორმებისა, რომელიც ბუქმოლის და ნინორსკის ვარიანტებში ორივეგან დასაშვებად მიიჩნეოდა. საზოგადოებრივი დისკუსიებისთვის წინასწარ გამოქვეყნებულ ენობრივ ნორმათა რედაქციას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა, განსაკუთრებით ნინორსკის დამცველების მხრიდან, პოლიტიკოსები იძულებულნი გახდნენ ნორმათა არჩევითობის გრადაციული პრინციპი შემოეტანათ. მიღებულ იქნა მაღალი და დაბალი სტატუსის მქონე არჩევითი ფორმები, მაღალი სტატუსის მქონე არჩევითი ფორმები გამოყენებული იქნებოდა ოფიციალურ დოკუმენტებსა და სასკოლო სახელმძღვანელოებში, დაბალი სტატუსის მქონე ფორმები კი არა, თუმცა მოსწავლეებს შეეძლებოდათ მათი გამოყენება და ეს შეცდომად არ ჩაითვლებოდა, მათ შორის არც მეორე ენის სავალდებულო გამოცდაში.

1938 წლის რეფორმამ მხოლოდ მცირე ხნით შეძლო მუშაობა, მალევე ნორვეგია ნაცისტებმა დაიპყრეს და 1941 წელს თავიანთი რეფორმაც შემოიღეს, ნაცისტური რეფორმის ხასიათი ძირითადად კონსერვატიული და ცხადია ნაციონალისტური იყო, იგი ბუქმოლში აბრუნებდა რამდენიმე ამოღებულ კონსერვატიულ ფორმას, ხოლო ნინორსკში კი ძველნორვეგიულთან ახლოს მყოფ ფორმებს, ასევე ცდილობდა ნინორსკის როგორც უფრო ნაციონალისტური ფორმის მეტად მხარდაჭერას, თუმცა იმ დროს ნორვეგიელ ხალხს და თვითონ ნაცისტებსაც ენის რეფორმისთვის ნაკლებად ეცალათ, ნაცისტური მმართველობის დასრულების შემდეგ კი რეფორმა ავტომატურად გაუქმდა. შესაბამისად მას ენობრივ სურათზე რაიმე მნიშვნელოვანი კვალი არ დაუტოვებია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქვეყანაში ეროვნული ერთობისა და აღმშენებლობის ახალი ტალღა დაიწყო, 1946 წელს ჩატარებულ გამოკითხვაში მოსახლეობის 79 პროცენტი ამბობდა რომ მიესალმება საერთო ნორვეგიულს - სამნორსკს. მთავრობამაც აქტიურად დაიწყო 1938 წელს მიღებული მართლწერის რეფორმის გატარება. თუმცა ეს ყველაფერი კარგად არ დასრულდა. 1950-იანი წლებიდან რიქსმოლის დაცვის ორგანიზაცია იწყებს მასობრივი გამოსვლებს რადიკალური ფორმების წინააღმდეგ, რადიკალური სწორედ იმ ფორმებს ეწოდათ, რომელიც ბუქმოლის ვარიანტებში რადიკალურად იხრება ნინორსკისკენ და პირიქით, სამთავრობო პოლიტიკა სწორედ ამ ფორმებს მიიჩნევდა საერთო ნორვეგიულის საფუძლად. მაგრამ რიქსმოლის დამცველთათვის რადიკალური ვარიანტები მიუღებელი იყო, შოკისმომგვრელად ვულგარულად და მდაბიურად ჟღერდა. 1951 წელს სახელმწიფომ გადაწყვიტა ენის პოლიტიკის განმსაზღვრელი ახალი ორგანოს Norsk språknemnd-ის დაარსება (ამჟამინდელი Språkrådet) ჩატარდა ცნობილი აქცია Foreldreaksjonen mot samnorsk (მშობელთა აქცია სამნორსკის წინააღმდეგ), 1952 წელს რიქსმოლის დაცვის საზოგადოება გაემიჯნა Norsk språknemnd-ის მიერ დარეგულირებულ ბუქმოლს და გამოსცა რიქსმოლის ნორმების ლექსიკონი, რომელიც არ აღიარებდა ბუქმოლის რადიკალურ (ნინორსკთან დამახლოვებულ) ფორმებს, ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა გამოცემამ Aftenposten-მა უარი თქვა ბუქმოლზე და სწორედ რიქსმოლის ნორმების მიხედვით დაიწყო წერა. შეგროვდა სამასათასამდე ხელმოწერა რადიკალური ფორმების წინააღმდეგ, მშობლები სასწავლო წიგნებში რადიკალურ ფორმებს ხაზავდნენ და

რიქსმოლის ლექსიკონში შეტანილ ფორმებს აწერდნენ ზემოდან. დაიწყო რადიკალური ფორმების შემცველი სასწავლო წიგნების საჯარო დაწვა. სახელმწიფო იძულებული გახდა უკან დაეხია. (Vikor & Egebakken, 2010)

რადგან მოსახლეობის აღშფოთების მთავარი მიზეზი სასწავლო წიგნებში შესული ფორმები იყო მომდევნო რეფორმა ძირითადად სასწავლო წიგნებს შეეხებოდა, ამიტომაც მას სასწავლო წიგნების რეფორმა დაერქვა. თუმცა რიქსმოლის დამცველები არც ამ რეფორმით დარჩნენ კმაყოფილები, კვლავ გაგრძელდა წიგნების დაწვა. თუ 20-იან წლებში წამყვანი პარტიებსაც კი (მაგალითად მუშათა პარტიას) შეეძლოთ ნეიტრალურები ყოფილიყვნენ ენის საკითხის მიმართ, ამ მომენტიდან უკვე პოლიტიკური სიტუაცია აღარ იძლევა ამის საშუალებას. ივლება საკმაოდ მკაფიო ზღვარი, მემარჯვენე კონსერვატორები რიქსმოლის დამცველთა რიგში არიან, მემარცხენეები კი ძირითადად უბრალო ხალხის ქომაგი რადიკალური ახალგაზრდები არიან, რომელთაც სძულთ დადგენილი მაღალი სტილის ფორმები და რადიკალური ბუქმოლის ფორმებისკენ იხრებიან, ეს პოლიტიკური დაყოფა მეტ-ნაკლებად დღემდე ნარჩუნდება.

მუშათა პარტიამ სიტუაციის დასასტაბილურებლად 1964 წელს შექმნა სპეციალური კომიტეტი. კომიტეტს სათავეში ჩაუდგა ქართველებისთვის კარგად ნაცნობი ნორვეგიელი ენათმეცნიერი, არმენოლოგი და ქართველოლოგი ჰანს ფოგტი. ფოგტის კომიტეტმა შეძლო ხარისხიანი სამეცნიერო სამუშაო ჩატარებინა და მიუხედავად იმისა, რომ ენობრივი რეფორმებისადმი ხალხის ნდობა უკვე მთლიანად დაკარგული იყო, მათმა ვარიანტებმა იმუშავა, ყველასთვის მოულოდნელად ხალხმა ფოგტის რეფორმით შემოღებული ფორმების გამოყენება დაიწყო. სიტუაცია დასტაბილურდა, სამნორსქის პროექტმა უკან დაიხია, Norsk språknemnd-ის ნაცვლად შეიქმნა ახალი ორგანო Norsk språkråd, რომელსაც წესდების თანახმად აღარ ჰქონდა დავალებული აქტიურად ეზრუნა ენათა დაახლოებაზე, მას მხოლოდ ევალეობა უკვე არსებული დაახლოების ტენდეციებისთვის შეძლებისდაგვარად შეეწყო ხელი. მეორე მხრივ ნინორსქმაც მიიღო სარგებელი, ნორვეგიის საზოგადოებრივი მაუწყებელი NRK ვალდებული იყო მაუწყებლობის მინიმუმ 25 პროცენტი ნინორსქზე ეწარმოებინა. ეს კანონი დღემდე მოქმედებს.

მომდევნო რეფორმა 1981 წელს განხორციელდა და ის მხოლოდ ბუქმოლს შეეხებოდა. ამ რეფორმით გაუქმდა ბუქმოლში ნორმათა იერარქია და ყველა ნორმა გათანაბრდა ერთმანეთთან, ნორმები გახდა უფრო ლიბერალური, რიქსმოლის დამცველთა ლექსიკონი კონსერვატიული ფორმებით თითქმის მთლიანად შევიდა ახალ რედაქციაში და სრულფასოვნად გაუთანაბრდა სხვა ფორმებს. ეს რეფორმა კონსერვატორთა გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს. ამ მოვლენის გაგრძელება იყო 2005 წლის რეფორმაც, რომელიც ასევე მხოლოდ ბუქმოლს შეეხო და ნორმებიდან ამოიღო სამნორსქის გავლენით შეტანილი ის რადიკალური ერთეულები, რომლებიც ნაკლებად ხშირად გამოიყენებოდა, (ანალოგიური რეფორმა გატარდა 2012 წელს ნინორსქთან დაკავშირებითაც). ამასთან ერთად ნორვეგიის პარლამენტმა გააუქმა ის ჩანაწერიც, რომელიც ორგანოს ავალებდა ხელი შეეწყო ენათა დაახლოებისთვის. აღნიშნული კონსერვატორთა გაზეთმა Aftenposten-მა შეაფასა როგორც სამნორსქის სიკვდილი.

ამჟამინდელი მდგომარეობა და შესაძლო პერსპექტივები

1917 წელს დაწყებული სამნორსქის პროექტი სერიოზული კრახი იყო სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკისთვის. მწარე გამოცდილების შემდეგ თანამედროვე პოლიტიკოსები დიდ სიფრთხილეს იჩენენ ენობრივი პოლიტიკის განსაზღვრისას. ისინი მაქსიმალურად ერიდებიან რადიკალური გადაწყვეტილებების მიღებას. ზოგადი პოლიტიკა მდგომარეობს ბუქმოლისა და ნინორსქის დაცვაში, სხვა ყველაფრისგან

სახელმწიფო ცდილობს თავი შეიკავოს. ყველაზე აქტუალური საკითხი რომელიც დღევანდელი პოლიტიკის დღის წესრიგში დგას არის სავალდებულო გამოცდა მეორე ენაში, ან უფრო რომ გავამარტივოთ საკითხი სავალდებულო გამოცდა ნინორსქში, რომლის მოხსნისთვისაც დიდი ხანია იბრძვიან რიქსმოლის დამცველები, თუმცა ჯერჯერობით უშედეგოდ. 2001 წლიდან მოყოლებული სკოლაში ნინორსქს სულ უფრო და უფრო ნაკლები ბავშვი ირჩევს. 2001-ში ნინორსქი 14.8 პროცენტს ჰქონდა არჩეული 2021 წლის სტატისტიკით კი მხოლოდ 11.6-ს აქვს (Statistisk sentralbyrå, 2021). ეს სტატისტიკა პოლიტიკოსებზეც მოქმედებს ისინი თანდათანობით იცვლიან პოზიციებს, სტატისტიკის კლების ტენდენციიდან გამომდინარე არ არის გამორიცხული უახლოეს მომავალში სავალდებულო გამოცდის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღონ, თუმცა ეს ნებისმიერ შემთხვევაში რთული გადაწყვეტილება იქნება.

როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს დღეისათვის ბუქმოლს თითქმის 90 პროცენტი ირჩევს, ნინორსქს 10, სამნორსქი კი პრაქტიკულად აღარ არსებობს, შესაბამისად სურათი თითქოს ნათელია, მაგრამ საქმე გაცილებით უფრო რთულადაა ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

თანამედროვე ბუქმოლში კვლავაც ბევრია რადიკალური და კონსერვატიული ბუქმოლის გათანაბრებული პარალელური ფორმები, ეს შეეხება არა მხოლოდ ცალკეული სიტყვების რაოდენობას არამედ მორფოლოგიურ ნიშნებსაც, განსაზღვრული ფორმის არტიკლისა და სუსტი ანუ წესიერი ზმნების წარსული დროის სუფიქსის სახით. ამიტომ რთულია, თანამედროვე ბუქმოლს სტანდარტიზებული სალიტერატურო ენა ვუწოდოთ. სტანდარტიზებული ენა უფრო მეტად არის თანამედროვე რიქსმოლი, რომელშიც ბევრად ნაკლები ლოკალური ფორმაა. სავარაუდოა, რომ თუ მოსწავლეებს არჩევანის გაკეთება რიქსმოლსა და ნინორსქს შორის მოუწევთ და არა ბუქმოლსა და ნინორსქს შორის მაშინ არსებული სტატისტიკა რამდენადმე მაინც შეიცვლება ნინორსქის სასარგებლოდ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიქსმოლის დამცველები გამოირჩევიან ცინიკური ტონითა და სხვა ფორმების მიმართ აგდებული დამოკიდებულებით, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტია თანამედროვე რიქსმოლიც ვერ იქნება ის სალიტერატურო ენა, რომელიც დღევანდელ მრავალფეროვან სამეტყველო ენას შეიძლება შეესაბამებოდეს.

სამეტყველო ენის კლასიფიცირება და ანალიზი ყოველთვის რთულია, მით უმეტეს ისეთი მცირე ფორმატის კვლევაში როგორც ჩვენია, სამწუხაროდ ჯერჯერობით არც მოიძებნება საკმარისი რაოდენობის კვლევები, რომელსაც საერთო სურათის წარმოსადგენად შეიძლება დავეყრდნოთ. რადგანაც მასალა წარმოუდგენლად ჭრელი და რთულად შესასწავლია. თუმცაღა თავად ნორვეგიელები ხშირად იყენებენ სიტყვას *talemålsnært bokmål* - სამეტყველო ენასთან ახლოსმდგომი ბუქმოლი, რაშიც ისინი რადიკალურ ბუქმოლს გულისხმობენ, რადიკალური ბუქმოლი კი სწორედ სამნორსქის პროექტის ნაყოფია. ასეთი ბუქმოლი ზემოთნახსენები რიქსმოლის აგრესიული დამცველების მხრიდან ვულგარულად არის შერაცხული, მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურ საუბარში თვითონაც ხშირად იყენებენ რადიკალურ ფორმებს, მაგრამ მათი წერილობით ენაში, მით უფრო მას მედიაში ან მხატვრულ ლიტერატურაში გამოყენება ესთეტიკური თვალსაზრისით მახინჯ და მიუღებელ ფორმებადაა მიჩნეული. 50-იან წლებში სწორედ ვულგარულობა და მხოლოდ ვულგარულობა გახდა კონსერვატორთა აღმფოთებისა და სამნორსქის პროექტის ჩაშლის მიზეზი. თუმცა ეს „მხოლოდ ვულგარულობა“ როგორც ჩანს რაღაც უფრო მეტია ვიდრე სუბიექტური აღქმა, რადგან ამ ლოზუნგებით სამნორსქის წინააღმდეგ ვიღაც დრომოჭმული რეტროგრადები კი არ გამოდიოდნენ, არამედ იმ დროის საუკეთესო მწერლები მაგალითად არნულფ ოვერლანდი, რომლის მეთაურობითაც იმ დროს 28 მწერალმა პროტესტის ნიშნად დატოვა ნორვეგიის მწერალთა გაერთიანება.

ივარ ოსენი ჯერ კიდევ თავის პირველ წერილში 1836 წელს აღნიშნავდა, რომ აღორძინებული სალიტერატურო ენა ყველა სხვა კრიტერიუმთან ერთად ამაღლებულიც უნდა იყოს რათა მაღალმა ფენებმა შეძლონ მისი გაზიარება (Aasen 1909). როგორც ჩანს რადიკალ ბუქმოლი, მიუხედავად იმისა რომ სავარაუდოდ ყველაზე გავრცელებული ფორმა ყოველდღიურ სამეტყველო ენაში მეტისმეტად უხეშია იმისთვის, რომ მასზე მაღალმხატვრული ლიტერატურა ან სამეცნიერო ნაშრომები დაიწეროს ან თუნდაც ოფიციალურ სახელმწიფო უწყებებში იქნეს გამოყენებული.

დახვეწილობის მხრივ ვერაფერს დავუწუნებთ ნინორსქს, ამ ენაზე წერდნენ თავად ივარ ოსენი, არნე გარბორგი, ულავ დუნი, თარიაი ვესოსი, ულავ ჰაუგე და სხვა კლასიკოსი ნორვეგიელი მწერლები. ამდენი დიდი სახელი „ბუქმოლის მწერლებს“ შორის შეიძლება ვერც ჩამოვთვალოთ. 2024 წელს ნობელის პრემია მოიპოვა იუნ ფოსემ, რომელიც ნინორსქზე წერს, ეს ნინორსქის ჯერჯერობით პირველი ნობელის პრემიაა. ნინორსქი დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს ჰუმანიტარებს შორის. ეს ენა მართლაც რომ მოკვდეს, მისი არსებობის მიზანი უკვე სავსებით გამართლებულია, რადგან მხოლოდ უკვე არსებული მხატვრული ლიტერატურის სახითაც უმნიშვნელოვანეს და დაუვიწყარ კვალს ტოვებს მსოფლიო კულტურაზე.

ხაზგასასმელია ისიც, რომ ნინორსქზე შექმნილია ჰუმანიტარული სამეცნიერო ლიტერატურის დიდი ნაწილი, მათ შორის ენათმეცნიერული ლიტერატურისაც. ნინორსქს ძალზე ძლიერი ტრადიციები აქვს არაერთ კომუნაში, ლოკალური გაზეთების უმეტესობა სწორედ ნინორსქზე გამოდის. ამას გარდა სახელმწიფოს პოლიტიკაა ერთი მხრივ ხელი შეუწყოს რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას, მეორე მხრივ კი ნინორსქის როგორც ენის გადარჩენას. მწერლები და ზოგადად ჰუმანიტარები რეგიონისდა მიუხედავად ძირითადად ნინორსქს ირჩევენ ხოლმე, ჰუმანიტართა შორის ნინორსქის პოპულარობა იმდენად დიდია, რომ ვფიქრობ არ არის გამორიცხული, იმ შემთხვევაშიც კი თუ ნინორსქი მოკვდება როგორც ხალხური ენა, მან მაინც გააგრძელოს არსებობა მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის ენის ფორმით, როგორც ამას მაგალითად ლათინური აკეთებდა საუკუნეების განმავლობაში. გარდა ამისა გვაქვს რადიკალური ბუქმოლიც, რომელიც როგორც ზემოთ ვთქვით საკმაოდ ახლოს დგას ნინორსქთან, აკლია სწორედ ის რაც აქვს ნინორსქს - დახვეწილობა და აქვს ის რაც აკლია ნინორსქს - საყოველთაოობა. ვფიქრობ, რომ თუ როგორღაც თავისთავად ბუნებრივად მოხდება, ნინორსქისა და რადიკალ ბუქმოლის შერწყმული ფორმა შეიძლება იყოს ის რაც ერთიან ნორვეგიულ სალიტერატურო ენას შეიძლება დაედოს საფუძვლად.

დასკვნები. წარმოდგენილი მსჯელობიდან არაერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება. კიდევ ერთხელ მტკიცდება საბაზისო ჭეშმარიტება, რომ ენაში არსებითი ცვლილებების განმაპირობებელი პირველ რიგში არის ადამიანების ჯგუფის საერთო ყოფა-ცხოვრება და არა იდეოლოგია, თუნდაც ეს ძალაიან პატრიოტული იდეები იყოს, როგორც მაგალითად ნინორსქის შემთხვევაში გახლდათ, მხოლოდ იდეა და თუნდაც სახელმწიფოს აქტიური დახმარება ენობრივი ცვლილებისთვის საკმარისი არ არის, თუ ადამიანებს ყოფა-ცხოვრებამ არ უკარნახათ ცვლილების საჭიროება. ისტორიული ანალიზი ნათლად გვაჩვენებს, რომ მეცხრამეტე საუკუნეში ფართოდ გაშლილი ეროვნული რომანტიზმის იდეების მიუხედავად, ნორვეგიული ენის სტანდარტიზების საქმეში მთავარი წვლილი მასწავლებლებმა შეიტანეს, რომელთაც პატრიოტიზმზე მეტად რთული წესების გამარტივება ამოძრავებდათ.

ნინორსქთან მიმართებით ცხადად გამოჩნდა, რომ პროექტმა ყველა ის მიზანი რომელიც ჩაფიქრებული ჰქონდა ვერ შეასრულა, მაგრამ შეძლო შეექმნა ჰუმანიტარებისათვის მიმზიდველი ამაღლებული ენა, რომელზეც მსოფლიო ლიტერატურის შედეგები დაიწერა. დღეს, როცა ნორვეგიის მოსახლეობის

აბსოლუტური უმრავლესობა ქალაქში ცხოვრობს, უკვე ცხადია, რომ ნინორსქი ვეღარ გახდება საერთო სალიტერატურო ენა ნორვეგიაში, თუმცა ამის საკმაოდ დიდი შანსი არსებობდა, სანამ სოფლად მეტი ადამიანი ცხოვრობდა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ნინორსქის წარუმატებლობაში დიდი როლი ითამაშა რიქსმოლის შეუვალმა კონსერვატიულობამ, რომელსაც ათწლეულების განმავლობაში გატარებული სახელმწიფო პოლიტიკაც კი ვერ მოერია. თუმცა ენა ცოცხალი ორგანიზმია, ვერც რიქსმოლი შეძლებს მუდმივად კონსერვატიული პოზიციები შეინარჩუნოს, ამდენად სავარაუდოა რომ ის რაც ვერ მოახერხა ლანდსმოლისა და სამნორშქის ღია წინააღმდეგობამ და ვერც მრავალწლიანმა სამთავრობო პოლიტიკამ, მოახერხოს ნელმა თავისთავადმა ცვლილებებმა, დრომ და გლობალიზაციამ, რაც ახალ შესაძლებლობებს გახსნის ერთიანი ნორვეგიული სამწერლობო ენის შესაქმნელად.

რაც შეეხება სამწერლობო ენისა და მასთან დაკავშირებულ ეროვნული იდენტობის საკითხს. ამ მხრივ განხილვამ გვაჩვენა, რომ დღეისათვის ძირითად სამწერლობო ენას - ბუქმოლს, „განორვეგიულების“ მხოლოდ მცირედი გზა აქვს გავლილი და კვლავაც უამრავი საერთო აქვს დანიურ სამწერლობო ენასთან, თუმცა მიუხედავად ამისა ნორვეგიაში ფაქტობრივად აღარ დგას ეროვნული იდენტობის პრობლემა. რადგან დანიური და ნორვეგიული სამეტყველო ენები ძალიან დაშორდნენ ერთმანეთს და მათი განსხვავებულობა ამ ენათა არ მცოდნეთათვისაც მარტივი შესამჩნევია.

განხილვამ ასევე ნათლად დაგვანახა ის რისკები, რომელიც სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკის ჭარბ ზეწოლას შეიძლება მოჰყვეს. ამასთანავე გვაჩვენა თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სალიტერატურო ენისთვის ბაზისად შერჩეული დიალექტი სარგებლობდეს ინტელექტუალთა მხარდაჭერით და არ აღიქმებოდეს მდაბიურად. ბოლო 150 წლის განმავლობაში ენაში უამრავი ცვლილება გამოიცადა, თუმცა საკუთრივ ენამ მხოლოდ ნაწილი მიიღო ამ ცვლილებებისა. ენის „აღორძინების ხაზს“ მეტნაკლები წარმატება ჰქონდა, შეიქმნა გამართული და ამალღებული ენა ნინორსქის სახით, რომელზეც უმვირფასესი ლიტერატურა დაიწერა, მაგრამ ვერ გახდა საყოველთაო სამწერლობო ენა. ენის „განორვეგიულების ხაზი“ შეგვიძლია ვთქვათ რომ ბოლომდე არ არის მიყვანილი, რადგან სამწერლობო ნორვეგიული და დანიური ოდნავ თუ განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა 150 წლის გასვლამ განორვეგიულების აუცილებლობაც უკანა პლანზე გადაიტანა, რადგან ნორვეგიამ მნიშვნელოვანი ენობრივი ცვლილებების გარეშეც მოახერხა საკუთარი იდენტობის გამოკვეთა, დღეისათვის ეს უკვე ვეღარ იქნება ახალი ცვლილებების განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამ 150 წელში წარუმატებლად დასრულდა სამნორსქის სალიტერატურო ენის პროექტი, თუმცა სამეტყველო ენის სიჭრელისა და ამ სიჭრელეში სამნორსქის ძლიერი პოზიციების გამო გამოვთქვამ ვარაუდს, რომ მომავლაში თუ რადიკალური ფორმები სამეტყველო ენაში კიდევ უფრო გაიძლიერებენ პოზიციებს და პოლიტიკის დემოკრატიზების თანამედროვე ტენდენციებიც გაგრძელდება, სამნორსქის პროექტი კიდევ შეგვახსენებს თავს.

გამოყენებული ლიტერატურა

- თოფურია, ვ. (2005). *ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი*. თბილისი: ნაკადული.
- Aasen, I. (1909). *Om vort skriftsprog*. Kristiania.
- Bagge, S., & Mykland, K. (1987). *Norge i dansketiden*. Cappelen, Oslo.
- Brunstad, E. (1995). *Nasjonalisme som språkpolitisk ideologi: om nynorsk, frisisk og færøysk målreising*. Noregs forskingsråd, Oslo.

- Guttu, T. (2019). *Snakket nordmenn dansk før?* Riksmålsforbundet, Oslo.
https://www.riksmalsforbundet.no/qa_faqs/snakket-nordmenn-dansk-for/
- Jahr, E. H. (1989). *Utsyn over norsk språkhistorie etter 1814*. Novus forlag, Oslo.
- Knudsen, T. (1923). *P.A. Munch og samtidens norske sprogstrev*. Kristiania.
- Papazian, E. (2012). *Språkreformatoren Knud Knudsen*. Språkrødet, Oslo.
- Språkrødet. (2022). *Dansk*. Oslo.
<https://www.sprakradet.no/Spraka-vare/Spraka-i-Norden/Dansk/>
- Skirbekk, G. (2014). *Språkhistorie og symbolmakt*. Prosa, 3, 28-35.
- Statistisk sentralbyrå. (2021). *Elevar i grunnskolen*. Oslo.
- Torp, A., & Vikor, S. (1993). *Hovuddrag i Norsk Språkhistorie*. Gyldendal, Oslo.
- Vikor, L., & Egebakken, I. (2010). *Språkpolitikk fra 1830 til 1907 & Språkpolitikk fra 1907 til i dag*. Nettopp norsk . SF vg2/vg3, 353-386.

REFERENCES

- topuria, v. (2005). *kartuli ena da martlts'eris zogierti sak'itkhi [Georgian language and some orthographic issues]*. Tbilisi: Nakaduli.
- Aasen, I. (1909). *Om vort skriftsprog*. Kristiania.
- Bagge, S., & Mykland, K. (1987). *Norge i dansketiden*. Cappelen, Oslo.
- Brunstad, E. (1995). *Nasjonalisme som språkpolitisk ideologi: om nynorsk, frisiske og færøyske målreising*. Noregs forskingsråd, Oslo.
- Guttu, T. (2019). *Snakket nordmenn dansk før?* Riksmålsforbundet, Oslo.
https://www.riksmalsforbundet.no/qa_faqs/snakket-nordmenn-dansk-for/
- Jahr, E. H. (1989). *Utsyn over norsk språkhistorie etter 1814*. Novus forlag, Oslo.
- Knudsen, T. (1923). *P.A. Munch og samtidens norske sprogstrev*. Kristiania.
- Papazian, E. (2012). *Språkreformatoren Knud Knudsen*. Språkrødet, Oslo.
- Språkrødet. (2022). *Dansk*. Oslo.
<https://www.sprakradet.no/Spraka-vare/Spraka-i-Norden/Dansk/>
- Skirbekk, G. (2014). *Språkhistorie og symbolmakt*. Prosa, 3, 28-35.
- Statistisk sentralbyrå. (2021). *Elevar i grunnskolen*. Oslo.
- Torp, A., & Vikor, S. (1993). *Hovuddrag i Norsk Språkhistorie*. Gyldendal, Oslo.
- Vikor, L., & Egebakken, I. (2010). *Språkpolitikk fra 1830 til 1907 & Språkpolitikk fra 1907 til i dag*. Nettopp norsk . SF vg2/vg3, 353-386.